

შპს „მეგავეტი“

2021 წლის ფინანსური ანგარიშგება

## ს ა რ ჩ ე ვ ი

|                                                                       |      |
|-----------------------------------------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                                    | 3    |
| საქმიანობის შედეგების ანგარიშგება                                     | 4    |
| კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება                                       |      |
| ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება                                | 5    |
| სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები | 6-15 |

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                              | 2021                  | 2020                  | 2019                  |
|------------------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|
| <b>აქტივები</b>              |                       |                       |                       |
| ფული და ფულის ეკვივალენტები  | 842085                | 393366                | 667548                |
| სავაჭრო მოთხოვნები           | 488404                | 372194                | 448663                |
| სასაქონლო მატერიალური მარაგი | 2062936               | 1422043               | 1383219               |
| სხვა მიმდინარე აქტივები      | 5310                  | 6851                  | 2127                  |
| ძირითადი საშუალებები         | 291478                | 307898                | 308873                |
| <b>სულ აქტივები</b>          | <b><u>3690213</u></b> | <b><u>2502352</u></b> | <b><u>2810430</u></b> |

|                                    |               |               |               |
|------------------------------------|---------------|---------------|---------------|
| <b>ვალდებულებები</b>               |               |               |               |
| სავაჭრო ვალდებულებები              | 440652        | 233698        | 405670        |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0             | 0             | 0             |
| <b>სულ ვალდებულებები</b>           | <b>440652</b> | <b>233698</b> | <b>405670</b> |

|                                               |                       |                       |                       |
|-----------------------------------------------|-----------------------|-----------------------|-----------------------|
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                      |                       |                       |                       |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                 | 3249561               | 2268654               | 2404760               |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>3249561</b>        | <b>2268654</b>        | <b>2404760</b>        |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b><u>3690213</u></b> | <b><u>2502352</u></b> | <b><u>2810430</u></b> |

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                                                           | 2021            | 2020            |
|-----------------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                     | <b>7136083</b>  | <b>6244878</b>  |
| ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან                          | 6903103         | 6033251         |
| სხვა შემოსავლები                                          | 232980          | 211627          |
| <b>რეალიზებული პროდუქციის<br/>თვითღირებულება</b>          | <b>-4337823</b> | <b>-4085084</b> |
| <b>საერთო მოგება</b>                                      | <b>2798260</b>  | <b>2159794</b>  |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                  | -600803         | -499990         |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                      | -72869          | -76983          |
| იჯარის ხარჯი                                              | -170400         | -170400         |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო<br>ხარჯი               | -574810         | -375576         |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                             | <b>-1418882</b> | <b>-1122949</b> |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                  | <b>1379378</b>  | <b>1036845</b>  |
| <b>გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>                 |                 |                 |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)<br>სავალუტო ოპერაციებიდან | -49708          | -67359          |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის<br/>ხარჯამდე</b>   | <b>1329670</b>  | <b>969486</b>   |
| <b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>                          | <b>-161238</b>  | <b>-229046</b>  |
| <b>საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი</b>               | <b>1168432</b>  | <b>740440</b>   |

**2021 წლის კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება**

|                                                                                                                      | <b>2021</b>    | <b>2020</b>    |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----------------|----------------|
| <b>საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)</b>                                                     | <b>2268654</b> | <b>2404760</b> |
| <b>მოგება/(ზარალი)</b>                                                                                               | <b>1168432</b> | <b>740440</b>  |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა') | 726159         | 421381         |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                                                                       | -913684        | -1297927       |
| <b>საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს</b>                                                                | <b>3249561</b> | <b>2268654</b> |

**2021 წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**

| <b>ფულადი სახსრების მოძრაობა</b>                  | <b>2021</b> | <b>2020</b> |
|---------------------------------------------------|-------------|-------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   | 448719      | -274182     |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში | 448719      | -274182     |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       | 393366      | 667548      |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            | 842085      | 393366      |
|                                                   |             |             |

## *სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების*

*განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31 დეკემბერს*

*დასრულებული წლისთვის*

---

### **ზოგადი ინფორმაცია**

შპს „მეგავეტი“ არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 29 მარტს, საიდენტიფიკაციო კოდი: 443854651. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 117დ.

კომპანიის დირექტორი არის გიორგი ხაჩიძე (57001008197)

კომპანიის მფლობელობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ნადია წივწივაძე (43001007142) - 67 %

გიორგი ხაჩიძე (57001008197) - 33 %

კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ვეტერინარული პრეპარატების იმპორტი და საბითუმო რეალიზაცია (დისტრიბუცია).

### **ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

არსებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული სრული შემოსავლის ანგარიშგებას. 2020 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს, საქმიანობის შედეგებს, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში

## **მსს ფასს-ის პირველადი გამოყენება**

ეს ფინანსური ანგარიშგება, მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად, კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მსს ფასს-ს, მოქმედს 2021 წლის 31 დეკემბერს ან შემდეგ დასრულებული პერიოდებისთვის, 2020 წლის 31 დეკემბრის შესადარისი პერიოდის მონაცემებთან ერთად. ამ ანგარიშგების მომზადებისას, კომპანიის საწყისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადდა 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

## **ფუნქციონირებადი საწარმო**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიის მუდმივი მიზანია ასორტიმენტის გაზრდა რათა მრავალფეროვანი საქონელი შესთავაზოს მომხმარებელს.

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

## **ამონაგების აღიარება**

ამონაგების საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები თანხის რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გამოკლებით.

## **უცხოური ვალუტა.**

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადანაგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

## მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. აღნიშნული მოდელით ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც მეწილეებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციებიც დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან განთავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო დაბეგვრის ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას, უფასო მიწოდებებს და დადგენილ ნორმას გადაცდენილ წარმომადგენლობით ხარჯებს.

საგადასახადო ჩათვლა ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე მოგების გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

## გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო ბაზას და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

## სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების ღირებულება გამოიანგარიშება საშუალო შეწონილი პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შემენაზე და მათი ადგილზე მიწოდებასა და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა ხარჯებს.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს ბიზნესის ჩვეულებრივად ფუნქციონირების პირობებში მარაგების მოსალოდნელ სარეალიზაციო ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯების მოსალოდნელი ღირებულება.



## ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება თავდაპირველი ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ღირებულება მოიცავს ნასყიდობის ფასს, იმპორტის მოსაკრებლის და არანაზღაურებადი შემენის გადასახდების და სხვა პირდაპირ მიკუთვნებული გადასახადების ჩათვლით. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული შეადგენს მთავარ კომპონენტებს, რომელსაც აქვს ექსპლუატაციის სხვადასხვა ვადა, ისინი ითვლება, როგორც ცალკეული ძირითადი საშუალების ერთეული. აქტივებისათვის, ამორტიზაცია ირიცხება იმგვარად, რომ აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გემგური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, წრფივი მეთოდის გამოყენებით:

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

|                         |             |
|-------------------------|-------------|
| მანქანა დანადგარები     | 5 - 10 წელი |
| კომპიუტერები            | 3 - 7 წელი  |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი | 5 - 10 წელი |
| ავტომობილები            | 3 - 7 წელი  |

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

## აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი

ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

## **იჯარა**

საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარებულია მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის პირობების შესაბამისად.

## **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

## **სავაჭრო ვალდებულებები**

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურისის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## **დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები**

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

## **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

## **საწესდებო კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია, როგორც საკუთარი კაპიტალი.

## **დივიდენდები**

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

## **ხარჯების აღიარება**

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

## **ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები**

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## **განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით.

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმპერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

## **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამგარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

## ამონაგები

კომპანია საქმიანობს სავაჭრო სექტორში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება რეალიზებული საქონლის ღირებულებისგან. 2021 წლის განმავლობაში საქონლის რეალიზაციით კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 6903103 ლარი. ასევე სხვა შემოსავლებმა შეადგინა 232980 ლარი, რომელიც მოიცავს პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან, ჩვენს მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურებას.

## ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

| ლარი                                         | 2021          | 2020          |
|----------------------------------------------|---------------|---------------|
| წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები     | 54296         | 14750         |
| ტრანსპორტის შენახვის და საწვავის ხარჯი       | 143995        | 123250        |
| ბანკის საკომისიო                             | 34523         | 33194         |
| კომუნიკაციის ხარჯი                           | 12821         | 15328         |
| კომპიუტერის ხარჯები                          | 6364          | 4833          |
| საკონსულტაციო ხარჯები                        | 63010         | 38150         |
| პრეპარატების ანალიზის და რეგისტრაციის ხარჯი  | 185780        | 79518         |
| სხვა საერთო ხარჯი                            | 74021         | 66553         |
| <b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>574810</b> | <b>375576</b> |

## ძირითადი საშუალებები

| ლარი                            | 2020          | 2020          |
|---------------------------------|---------------|---------------|
| მანქანა-დანადგარები             | 18872         | 21522         |
| კომპიუტერები                    | 13266         | 18952         |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი         | 12436         | 16582         |
| ავტომობილები                    | 246904        | 250842        |
| <b>სულ ძირითადი საშუალებები</b> | <b>291478</b> | <b>307898</b> |

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

| ლარი                       | 2021          | 2020          |
|----------------------------|---------------|---------------|
| ფულადი სახსრები ლარში      | 370531        | 144988        |
| ფულადი სახსრები ვალუტაში   | 471554        | 248378        |
| <b>სულ ფულადი სახსრები</b> | <b>842085</b> | <b>393366</b> |

მარაგები

| ლარი                         | 2021           | 2020           |
|------------------------------|----------------|----------------|
| სასაქონლო მატერიალური მარაგი | 2062936        | 1422043        |
| საწვავი                      | 5310           | 6851           |
| <b>სულ მარაგები</b>          | <b>2068246</b> | <b>1428894</b> |

მარაგების რაოდენობა მუდმივად ივსება რეალიზებული საქონლის პროპორციულად.

სავაჭრო მოთხოვნები სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები და მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

| ლარი                             | 2021          | 2020          |
|----------------------------------|---------------|---------------|
| სავაჭრო მოთხოვნები               | 387147        | 372194        |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 101257        | 0             |
| <b>სულ მოთხოვნები</b>            | <b>488404</b> | <b>372194</b> |

## სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

| ლარი                                      | 2021   | 2020   |
|-------------------------------------------|--------|--------|
| მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები | 440652 | 233698 |

## მოვლენები საანგარშებო პერიოდის შემდეგ

საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის № 1 დეკრეტის საფუძველზე საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. დეკრეტის საფუძველზე დამტკიცდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №181 „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები“-ს შესახებ. აღნიშნულმა დადგენილებამ არ შეუზღუდა კომპანიას ფუნქციონირება საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, თუმცა დადგენილების სხვა შეზღუდვებმა და მსოფლიოს იმ ქვეყნების ეკონომიკის გაუარესებამ, რომლებთანაც საქართველოს აქვს ურთიერთობა, შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. ვინაიდან ამ გაურკვეველი ცვლადებისა და დაშვებების რაოდენობა დიდია, ხელმძღვანელობა ვერ გააკეთებს საიმედო შეფასებას იმ თანხების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს კომპანიის შედეგებზე, თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნულ რეგულაციებში კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

## ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 30 სექტემბერს.